

ცოტნე დადიანი: ისტორიული გმირი, ლიტერატურული პერსონაჟი და
წმინდანი

მარიამ აბუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია,
ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ გიორგი გვალას,
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის მარიამ აბუაშვილის

განაცხადი

წარმოდგენილი ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ აბუაშვილი

2020

აბსტრაქტი

ნაშრომი, „ცოტნე: ისტორიული გმირი, ლიტერატურული პერსონაჟი და წმინდანი“, მცდელობაა დაგვანახოს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურის სახე, რომელსაც საქართველოში მონღოლთა ბატონობისას მოუხდა მოღვაწეობა.

ჩემი მიზანია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით წარმოვაჩინო ცოტნე დადიანის ისტორიული სახე და გავანალიზო ის როგორც ლიტერატურული პერსონაჟი და წმინდანი.

მიმაჩნია, რომ ნაშრომი შეიცავს საინტერესო ცნობებს არამარტო სამეგრელოს მთავარ ცოტნე დადიანის შესახებ, არამედ მეცამეტე საუკუნის პოლიტიკურ ვითარებაზეც.

წარმოდგენილი ნაშრომი განკუთვნილია როგორც ისტორიის, ისე ფილოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა წრისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ცოტნე დადიანი, ჟამთააღმწერელი, გრიგოლ აბაშიძე, კოხტასთავის შეთქმულება, მონღოლები.

Abstract

A thesis “Tshotne: a historic hero, a literary figure and a holy man” is an attempt to show the identity of a significant figure in Georgia’s history, who lived at a time of the Mongol invasion.

My aim is to demonstrate Tshotne Dadiani’s historic figure and analyze his personality as a literary character and a holy man drawing on the varied sources of information.

I believe, that the thesis includes interesting data about both Samegrelo’s headman Tshotne Dadiani and political circumstances of XIIIth century.

The represented thesis is meant to be used by the readers who are interested in history and philology.

The key words: Tshotne Dadiani, chronicler, Grigol Abashidze, Kokhtastavi’s plot, Mongols